ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2521943

ნომერი: AR1378634

თარიღი : 31.03.2016

გაცემის თარიღი : 18.04.2016

გაცნობის თარიღი : 18.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიზკულტურის , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიზკულტურის , N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორიშვილი , (ფიზკულტურის) N24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ათანელოვი პ/ნ 01012005656
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 35/37 ბ. 127

ორგანიზაცია:
- შპს "ვესთ საიდ" კოდი: 405008922

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.10.13.023.158) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემის ფორმულაში Y-ის მაჩვენებლის მნიშვნელობის შეცვლას, გაცნობებთ შემდეგს:

2014 წლის 25 ნოემბრის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N15–29 დადგენილებით „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4–13 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით y–ის მნიშვნელობის ცვლილება ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის კანონმდებლობით აიკრძალა. გამომდინარე აქედან, საკითხის განსახილველად მიწის ნაკვეთის სამშენებლო რესურსის ანგარიში უნდა მოხდეს შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემის ფორმულაში Y-ის მაჩვენებლის გათვალისწინებით. შესაბამისად საკითხის განხილვისათვის საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი დასაბუთება Y-ის მაჩვენებლის მნიშვნელობის ცვლილების გარეშე და დაზუსტდეს მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი.

ასევე, შენობის საცხოვრებელი ფუნქციით დატვირთვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე“ განსახილველად უნდა წარმოადგინოთ სრულყოფილი დასაბუთება პარკირების სქემით/სქემებით, ბინების და ავტოსადგომების რაოდენობის მითითებით, რაც ასევე უნდა აისახოს განმარტებით ბარათში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.